# მოდული 04

## ახალგაზრდების სპეციფიკის გაგება და მათი ჩართვა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში

**ადაპტირებულია საქართველოსთვის**

Hedayah
countering violent extremism

SEARCH FOR COMMON GROUND

GCSD

# ახალგაზრდობაში (დაახლოებით 18-21 წლის ასაკში) გრძნობდით თუ არა, რომ ნამდვილად გაფასებდნენ, გისმენდნენ და თქვენ მნიშვნელოვანი იყავით სხვა ადამიანებისთვის?

# ეთანხმებით თუ არა შემდეგ განცხადებას?

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამები ყველაზე ეფექტიანი მაშინაა, როდესაც მასში მონაწილეობას ღებულობენ შესაბამისი თემის ახალგაზრდები.

# რატომ არის მნიშვნელოვანი ახალგაზრდების ჩართვა და მათი მხარდაჭერა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში?

- ახალგაზრდები წარმოადგენენ პოზიტიური ცვლილებების წყაროებს და საიმედო მონაწილეებს მათი თანატოლებისთვის.
- ახალგაზრდებს დამატებითი წვლილი შეაქვთ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში:

– მათი უნიკალური შეხედულებების წყალობით სხვადასხვა საკითხებისა და მოწყვლადი ახალგაზრდების შესახებ;

– უნიკალური იდეებითა და გადაწყვეტის გზებით ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ;

- მათი ჩართულობა აძლიერებს როგორც მათ, აგრეთვე მათი თანატოლების მედეგობას.

# როგორ შეგვიძლია ახალგაზრდების ჩართვა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში?

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა პატივისცემა, ღირსება და არჩევანის თავისუფლება, წინაალმდეგ შემთხვევაში ძალზე რთული იქნება მათი მედეგობის გაძლიერება ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ.
დაეხმარეთ ახალგაზრდებს, მოიპოვონ საკუთარი მომავლის რწმენა, მაგალითად, მიიღონ განათლება, დაიწყონ კარიერა და შეუდგნენ საკუთარი პრობლემების მოგვარებას - განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს პრობლემები წარმოშობს ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელ ფაქტორებს.

# სად შეიძლება ახალგაზრდების ჩართვა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში?

ახალგაზრდებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ
**1) პოლიტიკის შემუშავების დონეზე,**
**2) პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელების დონეზე; და**
**3) ადგილობრივი ინიციატივების დონეზე.**
ახალგაზრდების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუცია (2250) რეკომენდაციას უწევს ხუთ ძირითად პრინციპს:
მონაწილეობა, დაცვა, პრევენცია, პარტნიორობა, ჩამოშორება და რეინტეგრაცია.

## მონაწილეობის დონე:

– ახალგაზრდების მიერ შემუშავებული და დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარებული გადაწყვეტილებები;
– პროექტებს იწყებენ და მართავენ ახალგაზრდები;
– დაინტერესებული მხარეების მიერ შემუშავებული და ახალგაზრდებთან გაზიარებული გადაწყვეტილებები;
– ახალგაზრდები გადიან კონსულტაციას და ღებულობენ ინფორმაციას;
– ახალგაზრდებს ანიჭებენ სათანადო უფლებამოსილებას და აწვდიან ინფორმაციას.

## მონაწილეობის არარსებობა:

– ახალგაზრდობა, როგორც „სიმბოლო“;
– ახალგაზრდობა, როგორც „დეკორაცია“;
– ახალგაზრდებით მანიპულირებენ, თუმცა არ აწვდიან ინფორმაციას.



# **ვიდეორგოლი 4 |** იარაღით უკანონო მოვაჭრეები ლიბანში




**მომზადებულია:**
VICE NEWS-ის მიერ
**ერთწუთიანი ვიდეორგოლი:**
https://youtu.be/QGSCZM6yz3M
**ორიგინალი ბმული:**
https://youtu.be/XxumsOQMxLE
**ვიდეორგოლი, ქართული თარგმანით იხილეთ აქ:**
https://drive.google.com/file/d/1e02xKQUXBtfQO9Q1a14n8PGZ3bzEHbdn/view?usp=sharing

# **ვიდეორგოლი 5 |** “სიყვარული და ომი სახურავზე” - დოკუმენტური ფილმი (ანონსი)




**მომზადებულია:**
MARCH LEBANON-ის მიერ
**ორიგინალი ბმული:**
https://youtu.be/hZHz1NyuB1o
**ვიდეორგოლი, ქართული თარგმანით იხილეთ აქ:**
https://drive.google.com/file/d/1Iqq1YhiNJIX6RNMrxY-OYdyDt9FZKI3R/view?usp=sharing

# **ვიდეორგოლი 6 |** კულურული კაფე ‘QAHWETNA’ (ანონსი)




**მომზადებულია:**
MARCH LEBANON-ის მიერ
**ორიგინალი ბმული:**
https://youtu.be/jpD_-Xr1VeA
**ვიდეორგოლი, ქართული თარგმანით იხილეთ აქ:**
https://drive.google.com/file/d/13My_-HaYAx8lcFG0wJ_hTlo6yVbi1qlZ/view?usp=sharing

# მიუთითეთ თქვენს რეგიონში ახალგაზრდების შესახებ ზოგადად გავრცელებული აღქმები ან სტერეოტიპები?


ხელშეწყობა
არჩევანის თავისუფლება
აქტივები
ხელსაყრელი გარემო

# სადისკუსიო შეკითხვები

1. რა განსაზღვრა თქვენმა ჯგუფმა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამებსა და ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდების წინაშე არსებულ სამ დაბრკოლებად?
2. დაასახელეთ ის დაბრკოლებები, რომლებიც, თქვენი აზრით, ახლავე უნდა აღმოიფხვრას ახალგაზრდების მოზიდვის სამუშაოების ფარგლებში.
3. რა ნაბიჯები ან ქმედებები იქნებოდა ყველაზე მიზანშეწონილი ახალგაზრდების მოზიდვის მიმართ არსებული დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად?

# **ვიდეორგოლი 7 |** ფატიმა საკუთარ აზრზე რჩება: ახალგაზრდა მაროკოელი ქალის მოგზაურობა ძალადობრივი ექსტრემიზმის შეჩერების გზაზე




**მომზადებულია:**
SEARCH FOR COMMON GROUND-ის მიერ
**ორიგინალი ბმული:**
https://youtu.be/fVn7XhrlUeQ
**ვიდეორგოლი, ქართული თარგმანით იხილეთ აქ:**
https://drive.google.com/file/d/14-xh7HEz-MmJbOyNlcXSt3GL1WHck3w9/view?usp=sharing

# **ვიდეორგოლი 8 |** გაიცანით ბელ ალ-დაჰაბის (ოქროს კარის) მაცხოვრებლები

**მომზადებულია:**
MARCH LEBANON-ის მიერ
**ორიგინალი ბმული:**
https://youtu.be/4_xHlJ5DkT0
**ვიდეორგოლი, ქართული თარგმანით იხილეთ აქ:**
https://drive.google.com/file/d/1YTqmSqpiT1E3q50AgiQQ3RvX1VZ-tV0H/view?usp=sharing

# პოტენციური რისკები, რომლებიც თან ახლავს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამებში ახალგაზრდების ჩართულობას:

- ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში მომუშავე სხვა პრაქტიკოსი სპეციალისტები შეიძლება არ ფლობდნენ საჭირო ინსტრუმენტებს ან არ გააჩნდეთ საკმარისი მოქნილობა იმისათვის, რომ გააცნობიერონ საკუთარ რეგიონში არსებული ახალგაზრდული დინამიკა ან  ჩამოაყალიბონ უარყოფითი სტერეოტიპები ახალგაზრდების შესახებ.
- ახალგაზრდების მოზიდვის შემდეგ, შესაძლოა მათ არ მიეცეთ თანასწორი ხმის ან საკუთარი ინტერესების თანასწორად წარდგენის უფლება.
- ახალგაზრდები შესაძლოა არ აღმოჩნდნენ მზად მონაწილეობისთვის ან შეეშინდეთ, რომ მათ აღიქვამენ, როგორც იარაღს სხვა ორგანიზაციების ან ინსტიტუციების ხელში.
- ახალგაზრდების ჩართულობით შეგროვებული ინფორმაცია შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ გზით, რაც ზიანს მიაყენებს ურთიერთობებს ან პარტნიორობის აღქმას.

# შეჯამება

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ღონისძიებები არ იქნება ეფექტიანი ახალგაზრდა მამაკაცების და ქალების საჭიროებების გათვალისწინების გარეშე.

იმისათვის, რომ ახალგაზრდები და მათი ლიდერები სრულყოფილ პარტნიორებად ან ლიდერებად იქცნენ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების საქმიანობაში, ისინი უნდა სარგებლობდნენ პატივისცემით, ღირსებით ან არჩევანის თავისუფლებით.

ახალგაზრდები აქტიურად უნდა ჩაერთონ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ყველა დონეზე მნიშვნელოვანი, სანდო პარტნიორების და ლიდერების სახით.

ახალგაზრდები უკვე ჩართულნი არიან ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში. აუცილებელია მათ მიერ გაწეული ძალისხმევის აღნიშვნა და მათი წარმატებული ქმედებების წახალისება.



# შეჯამება

ახალგაზრდები ხშირად ორგანიზებულნი არიან და მოქმედებენ განსხვავებულად, ეს გარკვეულ სირთულეებს უქმნის როგორც თანამშრომლობას, ასევე ეფექტიანი პროგრამების შემუშავებას.

ახალგაზრდების ჩართულობის დონე იზრდება, რადგან ახალგაზრდებს ეძლევათ მეტი უფლებამოსილება პროგრამების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.

შესაძლოა საჭირო გახდეს გარკვეული დაბრკოლებების აღმოფხვრა და ახალგაზრდებისთვის დამატებითი რესურსების უზრუნველყოფა იმისათვის, რომ მათ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ღონისძიებებში ან უხელმძღვანელონ პროგრამებს.